

საგაზეთო

საგაზეთო
საქართველო

საორთული გაზეთი ორშაბათი 27 მარტი 2006 №67 (2689)

ფასი 50 თეთრი

იონანიძე ტარანტილოა

ზესტაფონელმა სცენარი კალიან ჩაახშია

მეოცე ტურმა ისედაც დაძაბული ეროვნული ჩემპიონატი კიდევ უფრო დაძაბა — ზესტაფონელ ზურაბ იონანიძის ჩუბინობას ლიდერი „ვიტ ჯორჯია“ ემსხვერპლა, ხოლო ვიტელთა მდევრებმა სამ-სამი ქულა მოინაგრეს. მეჩვიდმეტე ეროვნული მართლაც გამძაფრდა და კიდევ უფრო ეშხიანი უნდა გახდეს — ჩემპიონობისთვის ხომ ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძვის.




ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი 1:2. ზურაბ იონანიძემ მასპინძლები ბოლო წუთზე გაამწარა

გურამ მურელაძე/საგაზეთო

გადავიკითხოთ კლასიკოსები

„ბარსელონამ“ ვერ მოუგო პრიმერას აუტსაიდერ „მალაგას“, მაგრამ ამით ბევრიც არაფერი დაუკარგავს. მეტიც: საერთოდ არაფერი დაუკარგავს, რადგან წარმოუდგენელია, დარჩენილი რვა მატჩიდან ოთხი წააგოს, სხვა შემთხვევაში კი მის ჩემპიონობას არაფერი ემუქრება. „რეალმა“ კი ამ ტურში მოიგო, თანაც მოიგო დიდი ანგარიშით, ხოლო მეტოქედ „დეპორტივო“ ჰყავდა. ამ მოგებით „რეალმა“ ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა. მომდევნო ტურში კი ელ კლასიკოა — „რეალი“ „კამპ ნოუზე“ ჩადის. ლიდერი მეორეადგილოსანს ეთამაშება. უკეთესი სანახავეც რა უნდა იყოს. დიახ, ყველაფერი ასეა, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ „ბარსელონას“ ჩემპიონობას „რეალი“ ხელს ვერაფრით შეუშლის და მომავალ უქმეებზე ვასამართ „კლასიკოსაც“ ხინჯად ესლა თუ და ჰყვება.



რეალი — დეპორტივო 4:0. კომენტარი საჭირო არ არის: მადრიდელმა სერხიო რამოსმა სტუმრებს მესამე გოლი გაუტანა

AFP მადრიდიდან



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურა 20 თებერვალი

ქარს კი არა, ჩიონს ვერ გაიტან? გაატან!



ტორპედოელთა ახალწვეულ მეკარე სერგო ჭურაძეს სადებიუტო მატჩში არცთუ ბევრი საქმე ჰქონდა

მუთავისი. 25 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 1 500 (ტყვადობა 20 000)

ტორპედო 0:0 კოლხეთი

ტორპედო: ჭურაძე, ბერუაშვილი, ლალაძე (დარსანია 56), ზ. ჩხეიძე, რ. კვერნაძე, გამეზარდაშვილი, პარამონოვი, კორღალიძე, დოლონაძე, გ. ყიფიანი, მ. ძოძუაშვილი (ნ. ნადირაძე 56; ჩილენიძე 72) სათადარიგო: მიგინიძე, გორგოძე, დ. ჯანაშია, დათაშვილი

კოლხეთი: ლატარია, გ. კილაშვილი, ჯ. შალამბერიძე, ფარულაძე, ქობულაძე, ნარსია, ვართაყაია, ზ. რაზმაძე, მარგალიტაძე, ზ. ჯანაშია (ნიქარიშვილი 90), კრასოვსკი სათადარიგო: ხარბიშვილი, ქუთათელაძე, გომილაძე, ნაბრია, ყურაშვილი

მაჯორიტეტი: ფარულაძე (10), ნარსია (56)

მსაჯემი: ლ. ფანიშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. გაგინიძე, ლ. კვარაცხელია

დამამხრებელი: ა. ბაბუკაშვილი; **დირექტორი:** ვ. ქორიძე

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

ქუთაისის „ტორპედო“ ფოტის „კოლხეთთან“ მატჩის წინ ერთმა მხარემა რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა — გუნდს კაპიტნის სამკლავურით დაუბრუნდა დავით გამეზარდაშვილი, რომელიც რიგის „სკონტოში“ იყო, თუმცა იქ უთამაშებლობას მშობლიურ ქალაქში დაბრუნება არჩია; მის გარდა „ტორპედოს“ მისურა მოირგვს სერგო ჭურაძემ, კონსტანტინე დარსანიამ, დიმიტრი პარამონოვმა, ლევან კორღალიძემ, გიორგი ყიფიანმა და დავით ჩილენიძემ.

დაახლოებით თანაბარი ძალების გუნდებმა ერთმანეთს გასწილი ფეხბურთი შესთავაზეს, თუმცა სახიფათო მომენტები თითხე ჩამოსათვალს.

თველი იყო. თავდაპირველად დამაგვირგვინებელ ფაზაში ხშირად სცოდავდნენ.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს — მე-6 წუთზე კორღალიძემ კარგად ჩამოიტოვა ფოთელი მცველები, ძლიერად დაჯარჯა, თუმცა ბურთი ოდნავ ააცილა ზღვისპირელთა კარს.

კოლხებმა საპასუხო ჩხვლეტა 38-ე წუთზე განახორციელეს —

პრესკონფერენცია

სოსო ფილა: მეორე ტაიმში შედარებით უკეთ გამოვიყურებოდით, ისეთი თამაში იყო, მატჩის ბედს ერთ გოლი გადაწყვეტდა. ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ.

იური კვერნაძე: ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა, პირველ ტაიმში კარგი მომენტები გავატანეთ ქარს. რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ, რომლებიც თამაშის ხარისხის გამოსწორებაში დაგვეხმარებოდნენ.

ზამირ ჯანაშია გაისროლა თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

ტაიმის მიწურულს გიორგი ყიფიანს მიეცა საჯარიმო დარტყმით ანგარიშის გასწიის შანსი, თუმცა მისი დარტყმული ზემოდან გადაეწო კოლხეთა კარს.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრები უფრო უკეთ გამოიყურებოდნენ — ახლოს იყო მიზანთან დავით ნარსია, რომელიც თავით ძალიან სახიფათოდ ურტყამდა, თუმცა თანაგუნდელმა ზამირ ჯანაშიამ არ დაანება — ბურთი თავში მოხვდა და მიმართულა შეიცვალა.

ქუთათურებმა 74-ე წუთზე გოლის გატანა მაინც მოახერხეს, თუმცა თანამსაჯმა თამაშგარე დაფიქსირა და დარსანიას გოლი გაუქმდა.

მატჩის ბოლოს კი ჩილენიძემ პარამონოვის დარტყმულს თავით შეუცვალა მიმართულება და ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

თბილისი. 25 მარტი. 15 საათი. ოლიმპი. 600 მაყურებელი

ლოკომოტივი 1:2 ბათუმი

0:1 მანკვაია (16), 1:1 ალავერდიაშვილი (33), 1:2 დვალიშვილი (70)
ლოკომოტივი: ლ. ლომიძე, ავალიანი, მიხაილიძე, დ. ფოფხაძე (ფურთუხია 29), ოგბაძე, ბეტროსიანი, გულორდავა, მ. ილიაშვილი (ყიფიანი 6), გ. კახელიშვილი, ჩივაძე (რამონი 6), ალავერდიაშვილი, სათადარიგო: ზ. ჩალაძე, ხორგუაშვილი, მენაბდე, ბარბაქაძე
ბათუმი: თოთლაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, მ. ლომიძე, ქებაძე, გ. მანკვაია, სეთურიძე, რ. ონიანი, ტიაგო (თ. უგრეხელიძე 77), რ. ჯიქია, დვალიშვილი (ეკონია 89), სათადარიგო: სომხიშვილი; დუბაძე, ნაჭყებია, კუნჭულია, ფარტინაძე
მსაჯემი: დ. ხანაია, ზ. მენთეაშვილი, კ. გუდურაშვილი, დ. ხარტიონაშვილი
დამამხრებელი: ე. სილაგაია

სამეორეხარისხოვანი კომპლექსი გუნდებში კომპლექსური ბათუმიან ლოკომოტივი დაღალა და გაიღალა

პასა შალვაშვილი

ნახევრად მოხსნილი ტრიბუნა, დანგრეული გასასვლელი, გაღატაკებული არემარე... ასეთნაირად დაუხვდათ იხნის „ლოკომი“ გუნდებს ფაქტა — „ლოკომი“ ეს სეზონი როგორმე ჩამთავრდება და... მერე იქ დიდი მშენებლობა იწყება, ამბობენ. ზუსტად ვერ მივაკვლიეთ, ვინ რას ამბობს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ლაპარაკი სპორტულ კომპლექსზეა...

მოკლედ, ამხე ბევრს აღარ გავგებებულთ და თამაშს მიხვდით. ეს იყო საშუალო ქართული ტემპის, აქა-იქ სახიფათო მომენტებგარეული მატჩი, რომელშიც არაფრისთვის მებრძოლი გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. დიან, არც „ლოკომოტივის“ და არც „ბათუმის“ ამ ჩემპიონატში ხელი არაფრისთვის მიუწვდებოდა, გავარდნიდაც არ ვარდებოდა და...

პირველი ტაიმი თანაბარი გამოდგა. „ბათუმს“ და „ლოკომოტივს“ თავიდანვე გასატანად გაიწიეს და პირველი ხიფათი სტუმართა კართან შეიქმნა: მიხეილ უდენტის დარტყმული ირაკლი თოთლაძემ უხერხულად მოიგერია, ბურთი გიორგი კახელიშვილს მიუვიდა, მანაც მცველი ჩამოიშორა და ცარიელ კარში... ვერ გაიტანა.

„ლოკომოტივი“ დაისჯებოდა, ითქვა ტრიბუნაზე და ორ-სამ წუთში ასეც მოხდა — თბილისელთა სა-

ჯარიმოში დანიშნული თავისუფალი ჯარიმა გიორგი მანკვაიას უძლიერესი დარტყმით გადაიქცა გოლად — 0:1.

ოდნავ დამშვიდებული თამაში ტაიმის შუაწელს მასპინძლებმა გამოაცხადეს. კახელიშვილი-ალავერდიაშვილის დუბლი გააქტიურდა და გამთანაბრებელიც გავიდა. 33-ე წუთი იყო, ალავერდიაშვილი საჯარიმოში შეიჭრა, ორი მცველი მოატყუა, მაგრამ პირით ხახამდე მივიდა და... თითქოს პასის გაკეთებას აპირებდა. ჩანს, ასე იფიქრა ბათუმელთა მეკარემაც, ახლო კუთხე გაათავისუფლა, ფორვარდმაც იგი მოძრაობაზე დაიჭირა და 1:1.

ტაიმის ბოლოს კიდევ ორი სახიფათო მომენტი ვნახეთ: ჯერ კახელიშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა, მერე პირისპირ გასულ ვლადიმერ დვალიშვილს აჯობა თბილისელთა მეკარემ.

მეორე ნახევარი შედარებით დუნე გამოდგა, თუმცა ნელ-ნელა გამოიკვეთა ბათუმელთა უპირატესობა. „ლოკომოტივის“ უკვე მერამდენე ტურია, დაღალა დაღეტო და გოლი დროის ამბავი იყო. ასეც მოხდა: 70-ე წუთზე რევაზ ჯიქიას ჩაწოდებულს დვალიშვილმა ამოცხობა და შორეულ კუთხეში გაიტანა — 1:2.

სხვა საინტერესო ამ მატჩში არაფერი მომხდარა. გუნდებმა უშფოთველად ჩაათამაშეს ბოლო წუთები და მორჩა...

ორი გოლი ტოპვიოლერის თვალწინ

ზედზედ ორი ტურია, მეორე ბუნდესლიგაში დავით სირაძეს ორი გოლი გააქვს — გუშინ ერცგებირგეს აუე-მ სტუმრად „ფიურტს“ 3:1 მოუგო და სირაძე დუბლით გამოირჩა...

- პირველი გოლისას საჯარიმოში შევედი და დაბალ კუთხეში გავიტანე, მეორე კი მეკარის მოგერიებულს დავამატე.
- „ფიურტი“ პირველ ბუნდესლიგას უმიზნებს, ანუ იაშვილ-ნიზანეიშვილის „ფრაიბურგის“ კონკურენტია...
- იაშვილმაც ანლაზან დამირეკა და მითხრა, ეს რა კარგი საქმე გაგვიკეთო.
- აუე-ს ანევი იუსკოვიაკი არ ჰყავდა და, ალბათ, მაგიტომ ვათამაშებ მწვრთნელი ცენტრფორვარდად...
- იუსკოვიაკს გრიპი შეეყარა და მართლაც ამის გამო ვთამაშობ ცენტრალურ თავდაპირველად. თუმცა იუსკოვიაკის გამოჯანმრთელების შემ-

დეგაც, ალბათ, მაინც უფრო შემტევი ვიქნები, ვიდრე ნახევარმცველი.

- რამდენიმე დღის წინ კლაუს ტოპმოლერმა გვითხრა, აუე-ს მწვრთნელს ერთი კვირის წინ ვესაუბრე და სირაძეზე საქებარი არაფერი უთქვამს...
- ჩვენმა მწვრთნელმა გერდ შედლიხმაც მითხრა, ტოპმოლერს ველაპარაკეო, „ფიურტთან“ თამაშის წინ კი მაცნობა, ამ მატჩს ტოპმოლერი დაესწრებაო. მოგვიანებით, თამაშის შემდეგ ერთმა აქაურმა ჟურნალისტმა მახარა, ტოპმოლერი მართლა იყო თამაშზეო.
- შედლიხს ტოპმოლერთან საუბრის შესახებ არაფერი უთქვამს?
- არა, მაგრამ ის კი მითხრა, თუ ნაკრებში თამაში გსურს, აუე-ში კარგად უნდა მოიკიდო ფეხიო. შედლიხს „ფრაიბურგის“ თავკაც ფოლკერ ფანკესთანაც უსაუბრია ქართველების მენტალიტეტზე.



დავით თაგათიძე



საქართველოს XVII რეგიონალი

მეორე ტურის 20 ტურები

უმაღლესი ლიგა

საქართველოს პროფესიონალი ფეხბურთის ლიგა



სიხარული და მწუხარება: ზესტაფონელი ზურაბ იონანის გვიანმა გოლმა „ვიტ ჯორჯია“ მოცვლა

დრამა და იონას კიდევ ერთი ოინი

მცხეთა. 25 მარტი. 15 საათი. არმაზი. 600 (ტყვადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 1:2 ზესტაფონი

0:1 ფიფია (85), 1:1 იმედაშვილი (87), 1:2 იონანიძე (90ა)

30მ ჯორჯია: მიქაბერიძე, მ. დათუნაშვილი, ა. კვასაძე, იმედაშვილი, გველესიანი, გ. დათუნაშვილი, ლ. რაზმაძე, დ. დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ეზანოიძე 80), გელაშვილი (გ.მელქაძე 75), ლუჭაშვილი (სათადარიგო: ჯაფარიძე, აბშილავა, ცხომარია, კვანაძე)

ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ძაშაშვილი, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, გ. თურმანიძე, განუგრაგვა (ბენაშვილი 46), ბ. ნოზაძე, ფიფია, იონანიძე (სათადარიგო: რ. კვასაძე, იმედაძე, ხიდუშელი, ნუდნი, ხუმარაშვილი, ბუღალავა)

გაწმენილი: თოდუა (12), ჭანტურია (15), გელაშვილი (30), რაზმაძე (43), მ. დათუნაშვილი (44), ბენაშვილი (55), კვასაძე (65), იონანიძე (65), დილმელაშვილი (75)

მსაჯეები: ლ. სილაგავა, მ. ელივაშვილი, მ. ურუშაძე, გ. ვადაჭკორია

დამკვირვებელი: ა. დურსუნბი

დავით თავართიძემ მცხეთიდან

ლიხსიძობა ვარსკვლავმა ერთხელაც გაიბრწყინა — ზურაბ იონანიძე ამ მატჩშიც საუკეთესო იყო და ისევ მოაგებინა თავის გუნდს — იონანიძის დარი ფეხბურთელის ყოფილი ფასდაუდებელია ნებისმიერი ქართული გუნდისთვის. ამ გუნდების პირველი წრის შეხლა ვიტელებმა 4:0 მოიგეს, მაგრამ მაშინ „ვიტ ჯორჯიას“ ჰყავდა ოთარ მარცვალაძე, ხოლო „ზესტაფონი“ არეულ-დარეული იყო. „ვიტ ჯორჯია“ მეორე წრისთვის სრულფასოვნად ვერ მოემზადა, „ზესტაფონის“ კი ნაყოფიერი შეკრება ჰქონდა, თუმცა ამ შეხვედრაში ჯან-ღონით გუნდები ტოლსწორად იყვნენ. მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ არ ჰყავს იონანიძე და არც მისებრ გამორჩეული ლიდერი. ისიცაა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ აქლდა დაცვის ბურჯი თენგიზ კობიაშვილი, შემტევი ზაზა სახოკია და ძირითადი მეკარე გრიგოლ ბეღიაშვილი — მათ ტრამპების გამო ვერ ითამაშეს. ვფიქრობთ, ყველაზე დიდი დანაკლისი ვიტელებ-ისთვის კობიაშვილის არყოფნა იყო, რის გამოც დავით იმედაშვილი ხშირად ვერ ერთვებოდა შეტევაში და

მისი შეტევაში წასვლა ძალიან ეფექტური რომ არის „ვიტ ჯორჯიასთვის“, ამ შეხვედრაშიც გამოჩნდა. გარდა ამისა, უკობიაშვილობამ „ვიტ ჯორჯიას“ დაცვას მობილურობაც მოაკლო. ...ვასილ ლუჭაშვილმა უხერხული პოზიციიდან დაარტყა და მიზანს ააცილა; იონანიძე კარგად დაუსხლტა იმედაშვილს, მაგრამ არდალიონ მიქაბერიძემ იმარჯვა და დარტყმული მოიგერია — ასეთი იყო მატჩის პირველი წუთები. მალე ლუჭაშვილს უკეთესი შანსი მიეცა — მეტოქის კარიდან ხუთილი მეტრში მყოფმა ბურთი ვერ დაიმორჩილა, თორემ „ზესტაფონის“ მეკარე გრიგოლ ჭანტურიასთან პირისპირ რჩებოდა. პირველ ტაიმში ბურთი უფრო „ზესტაფონის“ ნახევარზე დაგორავდა და დაფრინავდა და ტაიმის შეწყვეტაში „ვიტ ჯორჯიას“ დაწინაურების რეალური შესაძლებლობაც ჰქონდა — სტუმრები ხელოვნური თამაშგარის შექმნას შეეცადნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ, ბურთი იმედაშვილმა მოიგდო და... ძელს გაართვა. არც „ზესტაფონი“ იყო უქმად — ვოვი ფიფიამ და ბექა ნოზაძემ კარგად გაათამაშეს კომბინაცია —

ნოზაძის დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. და ვიტელთა კიდევ ერთი შანსი — ოლეგ გველესიანმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, ლუჭაშვილი კარგად აფრინდა, თავი კარგადაც უთავაზა, მაგრამ ჭანტურიამ ურთულესი ბურთი მოიგერია. მეორე ტაიმში „ზესტაფონი“ უკეთ ათამაშდა და თამაშში „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარზე გადაიტანა. სტუმრები მასპინძლებზე უფრო კარგად აგორებდნენ ბურთს და ორთაბრძოლებშიც მეტწილად ისინი იმარჯვებდნენ. საგოლე მომენტები არა და არ ჩანდა. გიორგი დათუნაშვილი და ფიფია კი დაემუქრნენ მეკარეებს, მაგრამ რეალური საგოლე შანსი ჰქონდათ, ვერ ვიტყვით. იყო ბრძოლა და ძვალთმტვრევა, ცხრა ყვითელი ბარათი და დადგა 85-ე წუთიც — ფიფიამ ვიტელთა საჯარიმო მოედნის ზახთან მიიღო ბურთი, მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მიქაბერიძის კარის შორეული კუთხისკენ გაგზავნა ბურთი, რომელსაც პაატა დათუნაშვილი ჩაუხტა და ბურთიც მისი ფეხიდან აიჭრა კარში — ვფიქრობთ, ეს უფრო ფიფიას გოლი იყო, ვიდრე დათუნაშვილის ავტოგოლი. „ვიტ ჯორჯია“ არ დაიმოკა, მცხეთის მოედანზე გონს და მძლავრად შეუტია. „ზესტაფონის“ დაცვას ერთხელაც გამოეპარა იმედაშვილის შეტევაში ჩართვა — ლუკა რაზმაძემ მეტოქის საჯარიმოში ჩააგდო ბურთი და იმედაშვილმა თავური იხეირა — 1:1. ეს მატჩის კულმინაცია იყო, მოედანზე ვითარება უადრესად დაიძაბა, მაგარი თამაში წაივდა და დრამაც დატრიალდა — გიორგი მელქაძის პასით ლუჭაშვილმა 3-4 მეტრიდან ძლიერად ვერ დაარტყა და ჭანტურია ბურთს იოლად დაეუფლა, ხოლო მსაჯის მიერ დამა-

ტებულ წუთებზე იონანიძემ პენალტი მოინაგრა და თავადვე უნაკლოდაც შეასრულა — 1:2. „არმაზის“ სტადიონზე ბოლისიდან რეკავდნენ, მცხეთური მატჩის ბოლო წამებს ბოლისი სატელეფონო რეპორტაჟით ისმენდა — „სიონი“ ხომ ლიდერს ქულებით გაუთანაბრდა. ...მხოლოდ მოპოვებულ და გატანილ პენალტში როდია საქმე, იონანიძე მთელი მატჩის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა „ვიტ ჯორჯიას“ დაცვას, გამუდმებით დაძაბულობაში ჰყავდა მეტოქე, ხშირად იმარჯვებდა ორთაბრძოლებში და მასთან ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ ვიტჯორჯიელები — იონამ კიდევ ერთი საჩუქარი მიუძღვნა „ზესტაფონის“ ქომაგებს.

პრესკონფერენცია



თემურ მახარაძე: დრამატული მატჩი გამოდგა. „ვიტ ჯორჯია“ ამ დროისთვის საუკეთესო გუნდად მიმჩნია ჩემპიონატში. კმაყოფილი ვარ ჩემი ფეხბურთელების, მათ დავალება კარგად შეასრულეს. **ნესტორ მუშლაძე:** წაგებას არ ვიმსახურებდით, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ რა გაეწყობა, ეს ფეხბურთია...



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურის 20 შედეგები



არგვემბაზე დაგეშილი გორის „დილა“ ვახტანგ ხვადაგიანმა (მარჯვენა ფოტოზე შუაში) გატეხა

საღმოსაოქროსი საქარა

დილა ამერს ბარიკადები დაუყენა

კომპი ინსანარბი

„უკონში“ ცალკარა ხომ ყველას ვეითამაშა?! პოდა, აი, ასეთი, ეგაა, გაცილებით ღიდ ფართობზე თამაში უნახეთ შაბათის ვლანში, სადაც, ცოტა არ იყოს, სენსაციის სუნიც კი ტრიალებდა.

პატრონ-მეგარებლისა და ბედის ანაბარა დარჩენილი გორის „დილა“ თავიდანვე განწირული ჩანდა და ეს არც არავის უკვირდა — სტუმრად ერთ-ერთ ლიდერთან ამ გუნდის წარმატების შანსებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, თუმცა მოკლებები ისე აეწყო, სულ ადვილად შეიძლებოდა, „დილა“ შინ ქულთით დაბრუნებულიყო.

გორელები ყველანაირი საშუალებით ცდილობდნენ თავის დაცვას, საკუთარი კარის შესანახად მთელი მონდომებით ირგებოდნენ და რაკი „ამერმა“ გოლის გატანა მე-60 წუთამდე ვერ შეძლო, ჩავთვალოთ, რომ სტუმრებს ეს საქმე

კარგად გამოხდებოდა. არადა, „ამერს“ მომენტები ჰქონდა... თუმცა რაღა მომენტები, აკი ვთქვით, ცალკარა ფეხბურთი იყო და თავად წარმოიდგინეთ, „დილას“ კარის მისაღვომებთან რა ამბებიც ხდებოდა. საამისოდ კი ელემენტარული სტატისტიკა მოეშველიოთ, რომელიც „ყვითლების“ ვებგვერდზე ამოვიკითხეთ: კარში დარტყმა: 14-1; კარისკენ დარტყმა: 12-1; კუთხური: 12-1.

„ამერის“ ის ერთადერთი გოლიც კუთხურიდან იყო: დავით ბოლქვაძის ჩაწოდებულს ვახტანგ ხვადაგიანმა ადვილი ზუსტად შეურჩია და... „დილას“ მეკარე კახა გეგეშიძემ ბურთს თითები კი წაატანა, მაგრამ ძალიან ახლოდან დარტყმული ვეღარ მოიგერია — 1:0.

არადა, გეგეშიძემ ის 90 წუთი ისე ითამაშა, მისიანებისგან საგმირი სიგელს თუ არა, ღიდ მაღლობას მაინც იმსახურებდა. თითქოს კარი მოაჯადოვო, ამერელებმა ბუ-

რთი გორელთა მეკარეს ვერაფრით ააცილეს, ერთ-ორჯერ კი გეგეშიძეს ძელ-ხარისაც წაეხმარა.

პირველი ტაიმის ბოლოსკენ იყო ერთი ეპიზოდიც, რომლის შემდეგაც „დილა“ თითქოს უნდა გატეხილიყო — არბიტრმა პაატა დოგრაშვილმა უხეშობისთვის გორელთა ლიდერი ქრისტეფორე შატაკიშვილი დაითხოვა და სტუმრებიც ათნი დარჩნენ. ამის მერე კი ისე გამოვიდა, თითქოს ამ ამბავმა გორელებს სტიმული შემატა, ზედმეტად თავდაჯერებულ „ყვითლებს“ კი გატანა კიდევ უფრო გაუჭირდა.

შატაკიშვილის გაძევების შემდეგ სტუმრებს ღადო ნადირაშვილის კარის გზა მიავიწყდათ და საპირისპირო მხარეს საერთოდ აღარც გაუხედავთ.

მოკლედ, ეს ცალკარა „ამერმა“ მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც მოიგო. ქომაგიც ცოტა ანერვიულა და ახლა ლიდერთა ღვენას აგრძელებს.

თბილისი. 25 მარტი. 15 საათი. აშპრი. 800 (ტყვიადობა 900)

აშპრი 1:0 დილა

10 ხვადაგიანი (60)

<p>აშპრი: ნადირაშვილი, კედელაშვილი (დ. მჭედლიშვილი 46), ბერიანიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე, ბოლქვაძე (ა. კვიციანიშვილი 63), დეკანოზიძე, კოშკაძე, სეფასტოპოლო, ს. დავითაშვილი (წინამძღვარიშვილი 88) სათადარიგო: ქვანთაძე, გარუჩავა, ნიკოლაიშვილი, ელბაძე</p> <p>შპსრმნმნმ: გორგი ჩხარაძე</p>	<p>დილა: გეგეშიძე, გალოგრა, გვარჯიანი, ლავრელაშვილი, მახარაშვილი (მიმიგური 63), ვაჩიშვილი, საფარულიძე, კურტანიძე, მჭედლიძე (მოკუჩავა 69), დ. თურმანიძე (ჯოხაძე 56), შატაკიშვილი, სათადარიგო: თ. თურმანიძე, ტორთაძე, შენგელია</p> <p>შპსრმნმნმ: ლავრელი ბოლოთაშვილი</p>
---	--

გაშპრმნმნმნმ: შატაკიშვილი (15), გვარჯიანი (18), მჭედლიძე (21), შატაკიშვილი (39), ვაჩიშვილი (60)

გაშპრმნმნმნმ: შატაკიშვილი (39)

გაშპრმნმნმნმ: კ. დოგრაშვილი; გ. ჩიკვილაძე; ა. კოკია; თ. ხეციაძე

ღმმმმმმმმმმმ: ა. შალაბერიძე

პრესკონფერენცია

ლავერენტი ბოლოთაშვილი: უკულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. როგორც შეგვეძლო და რაც შეგვეძლო, ვითამაშეთ. მაგრამ თავს ხეძოთ ძალა არ არის, ბიჭები ბოლომდე დაინარჯნენ და სანამ შეეძლოთ, იქამდე მეტოქეს ვოლი არ გაატანინეს.

გორგი ჩხარაძე: საამაობრივად „ამერს“ მობილიზება აკლდა. უამრავი საგოლე მომენტი კი გვქონდა, მაგრამ ბიჭები სათანადო კონცენტრაციას ვერ ახერხებდნენ და გატანაც ამიტომ უჭირდათ. სამწუხაროა, რომ ისეთი ტრადიციების გუნდი, როგორც გორის „დილა“, ასეთ ვაჭირვებულ ღღეშა, თუმც იმედი მაქვს, გორელები პრობლემებს მალე მოაგვარებენ.

სპარტაკი 0:0 კახეთი

სპარტაკი: ნაფეტვარიძე, ელიზბარაშვილი, თ. მჭედლიშვილი, იმნაიშვილი (კობახიძე 46), ტაბიძე, მისაშვილი, ჯიბლაძე, მალიჩავა (ტაბუკაძე 46), კორტიკაძე, თქოშიაშვილი, ხუბუა (მალაფრეიძე 53) სათადარიგო: ლაბაძე, გაცინიძე, მოდუბაძე, ურუშიაძე

შპსრმნმნმ: ჯუმბერ აბაშიძე

კახეთი: ცინაძე, ტარუდაშვილი, კობახიძე (დ. ბურდული 57), მალაგვილიძე, ბედიანიძე, როსტიაშვილი, გიორგაძე, კველიშვილი, ნ. დავითაშვილი, სოსელია, იმერლიშვილი (კობახიძე 16) სათადარიგო: ჩახუტაშვილი, კუპრაშვილი, კვიციანიძე, ტეტიაშვილი

შპსრმნმნმ: ჯემალ მახარაშვილი

გაშპრმნმნმნმ: ა. ნონიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ნაკიძე, ა. ორდინიძე

ღმმმმმმმმმმმ: ს. კუტივაძე

გიორგი ნოზაძე

ვილმა ლიდერი მიხეილ სოსელია იმერლიშვილზე ოდნავ უკან გააძწვნა და მანაც რამდენიმე ეპიზოდში დროული ზუსტი პასით გააძწვავა ვითარება მეტოქის კართან. მატჩის დასაწყისშივე სოსელიას გადაცემით იმერლიშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ფორვარდმა ვერ ივარგა. მერე იმავე სოსელიამ კველიშვილს მისცა თა-

კახეთი გვალვა თბილისში

ვის გამოჩენის შანსი, თუმცა თანამსაჯმა ალმის აფრიალებით შაჩერა თამაში.

სტუმართა თამაშს დაღი გარკვეულწილად იმერლიშვილის ადრინამა ტრავმამაც დაასვა, რომელიც უკვე მე-15 წუთზე შესაცვლელი შეიქნა.

პირველ ნახევარში სპარტაკელთაგან ასე თუ ისე მიხეილ კოტრიკაძე გამოიჩინა და ერთადერთი სახიფათო მომენტიც მან შექმნა, თუმცა ვერაფერი იტყვის, ერთ ან მეორე გუნდს რეალური საგოლე შანსი ჰქონდა.

შესვენების შემდეგ დამატრულად განსხვავებული თამაში იყო. „სპარტაკი“ ამოძრავდა, შეცვლებამც შედეგი გამოიღო და უკვე „კახეთის“ საჯარიმოში დაცხა. ჯერ ხუბუა, შემდეგ მისაშვილი ხელ-

საყრელ პოზიციებზე აღმოჩნდნენ, მაგრამ ორივე ეპიზოდში მცველებმა ივარგეს.

სპარტაკელებმა ნახეს, რომ მეტოქეს საჯარიმოს მისაღვომები კარგად ჰქონდა გამაგრებული და მეორე ტაიმის მეორე ნახევარში საჯარიმოში დაიწყეს ბურთის ჩაკიდება. შედეგი არც ამან მოიტანა — ფეხბურთელების არასაკმარისი საშემსრულებლო ოსტატობის თუ მცველთა ყოჩაღობის გამო გუშინწინ „შეგარდნენ“ ბურთის კარში შესვლა არ ეწერა.

„სპარტაკს“ მაინც შეეძლო მოგება. შეხვედრის მიწურულს შეცვლაზე შესული მალაფრეიძე აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მასპინძელთა ფორვარდი სიზუსტემ დააღალატა. აშკარად ჩანდა, რომ კახელები

სულაც არ იყვნენ ქულაზე უარს და ბოლო წუთებში შეტევით დიდად აღარ გამოუღიათ თავი.

უგოლო ფრე შეხვედრის ლოგიკური შედეგი იყო — მასპინძლების ასაღვარდელი ფინი და მოძრაობა კახელებმა შედარებით გამოცდილი შემადგენლობით და დაცვაში მკაცრი თამაშით გაანეიტრალეს.

შეიძლება ითქვას, ჯემალ მახარაშვილის გუნდს სეზონის პროგრამა-მინიმუმი შესრულებული აქვს და თუ ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლეს ლიგაში გუნდების ოდენობა მკვეთრად არ შემცირა, კლიტაში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდება. რაც შეეხება „სპარტაკს“, ამგვარ პრინციპულ შეხვედრებში ვერმოგება სეზონის ბოლოს შეიძლება, ძალიან ძვირად დაუჯდეს.



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე 20 ტურში

სიონი

პოკას წყალი და ჯირკი სოსუმი

ილია ნანოშვილი ბოლნისიდან პირველად რომ მომხდარიყო, კიდევ წავყურებდით, მაგრამ მეორე წრეში „სოსუმი“ უცნაურობას დაქვია — ლიდერებთან თავს იკლავს და ოდენ მინიმალური ანგარიშით აგებს, თავის კონკურენტებთან კი ვერაფერს ხდება. ასე იყო ორი ტურის წინ მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან“ და ასე იყო გუშინ ბოლნისში „სიონთან“.

...კახა ცხადაძეს კვლავაც დისკვალიფიკაცია ჰქონდა და „სიონს“ სათადარიგოთა სკამიდან მისი თანაშემწე ვიორგი ყიფშიძე არიგებდა. ბოლნისელებმა ჩვეული 4-4-2 სქემა არჩიეს, საყრდენ ნახევარმცველებად უკრაინელი ალექსანდრ გურბინკო და ლევან ხმალაძე მოქმედებდნენ, ფლანგები მარჯვენა მარცხენა ვიორგი კვიციანიშვილსა და არჩილ ალავეიძეს ევაგათ, თავდასხმაში კი მიხეილ ხუციანიშვილსა და კოკა მიქუჩაძის წყვილი დასაქმდა.

„სიონი“ არ ელოდა მეტოქისგან

გაძლიანებას თუ რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ საწყისი 30 წუთი ძალიან დუნე გამოდგა. მასპინძლები ქაოსურად უტევენ, პასებისას ხშირად ცდებოდნენ, „სოსუმი“ კი ბურთის მოხელთებისთანავე ცდილობდა სწრაფ შეტევას, მაგრამ რაც არ შეეძლო...

37-ე წუთზე კი მასპინძლებმა ლამაზი კომბინაციის შემდეგ იხიერეს: ხმალაძე-ხუციანიშვილის ერთმხებიან გათამაშებას კოკა მიქუჩაძემ 8-10 მეტრიდან აუღებელი დარტყმა მიაყენა — 1:0.

„სიონი“ გოლმა გაათამაშა და შესვენებამდე კიდევ უნდა გაეტანა, ოღონდ ალავეიძემ დარტყმა დაახანა და ხუციანიშვილ-მიქუჩაძის კონტა შეტევა გააცუდა.

მეორე ტაიმი ბოლნისელების შეტურით დაიწყო, ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა მიქუჩაძემ ააცილა, წუთში ლამაზი ჭედიხემ ლამის კარის ხაზზე მდგომმა ვერ დაასწრო მეკარე ავთანდილ ლაბაძეს. მალევე ხუციანიშვილის დარტყმული საჯარიმო ისევ მიქუჩაძემ გა-

დაგზავნა კარში, მაგრამ თანამსაჯი თამაშგარის მაუწყებელ დროშას აფრიალებდა.

ერთიკა, „სიონი“ თითქმის ყველა სახიფათო შეტევას მიკუჩაძე-ხუციანიშვილით ქმნიდა, აი, ნახევარდაცვა კი აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს — ფაქტია, გრიგოლ დოლიძისა და დავით ბოლქვაძის წასვლამ ეფექტი მოაკლო გუნდს.

ბოლნისელები 1:0-ზე არ ჩერდებოდნენ, ერთი ბრმა გოლი და ამაზე მეტი შოკი რაღა იქნებოდა?! მიკუჩაძემ და ხუციანიშვილმა კიდევ ერთხელ გააცუდეს მომენტები, სოსუმელებს კი ერთადერთი საგოლე შანსი 70-ე წუთზე მიეცათ, ირაკლი ჭანტურია ოსტატურად დაარტყა საჯარიმო, ბურთი ჰაერში მოიჭრა და მინდია ბობიაშვილს რომ თითები არ წაეტანებინა, 1:1 გარდაუვალი იქნებოდა.

ბოლო წუთებში კი „თამაზ სტეფანიაზე“ მცხეთური ამბები შემოვიდა „მოდამი“. „ალამ და ფანობაში“ ძალიან გაიხარეს, როდესაც სტა-

ბოლნისი. 25 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტყვადობა 3 500)

სიონი 1:0 სოსუმი

10 მიკუჩაძე (37)

სიონი: ბობიაშვილი, ლ. ჭელიძე, დ. სვანიძე (კობაური 46), ჭიჭვიანიშვილი, რაქვიაშვილი, გურბინკო (ბაგელიძე 66), ხმალაძე, კვიციანიშვილი (ვ. უგრეხელიძე 46), ა. ალავეიძე, ხუციანიშვილი, მიკუჩაძე სათადარიგოთა ბათიაშვილი: იქროპირიძე, ქუცურუა, ლაშუკი მწვრთნელი: კახა ცხადაძე	სოსუმი: ავ. ლაბაძე, ამბიძე, მოლოდინი, ფანია, ჭყვიძე, დ. კახელიშვილი (გაგნიძე 79), ბართია (გიორგი ჯელიძე 88), ხაჩიძე, ი. ჭანტურია, სიხარულიძე, ა. ნოზაძე (მამფორია 61) სათადარიგოთა ქაშიბაძე: დავით მჭედლიშვილი, ჯერენაშვილი, ფარჯიანი მწვრთნელი: გოჩა ფორთოღლიანი
---	--

გაწმენილები: კახელიშვილი (44)

მსაჯები: დ. სანაია, თ. ხუჭუბა, ი. ურუშაძე, ვ. ბუიშვილი

დაამპირებები: თ. ლორთქიფანიძე

დიონზე გამოაცხადეს, „ზესტაფონმა“ იონანდის ბოლო წუთზე გატანილი პენალტით მოიგო. თანაბარქულიანი „ვიტ ჯორჯია“

და „სიონი“ ახლა პირველ-მეორე ადგილებზე არიან. მოკლედ, გუშინდელი დღე ბოლნისისა იყო...

პრესკონფერენცია

გოჩა ფორთოღლიანი: კარგი თამაში იყო. სამწუხაროდ, ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, რაც „ლივერპულისთვის“ და „რეალისთვის“ ეგებ არაფერი იყოს, მაგრამ ჩვენთვის...

ვიორგი ყიფშიძე: შედეგით კმაყოფილი ვარ, რასაც თამაშის ხარისხზე ვერ ვიტყვი. ვფიქრობ, ზედმეტი თავდაჯერების ბრალია, რომ გაჭირვებით მოვიგეთ. არადა, ფეხბურთელებს ვაფრთხილებდი, რომ „სოსუმი“ იოლად არაფერს დაგვითმობდა. საბედნიეროდ, „ვიტ ჯორჯიას“ ქულებით გავუთანაბრდით და თელავში „კახეთთან“ სათამაშოდ კარგ ხასიათზე წავალთ.

ბორჯომში წვიმა ჩასტვიინა

ბურთორტი არბენტიული ჰაზით

ბორჯომი. 25 მარტი. 15 საათი. ჰამალ ზაინალიშვილი. 2 000 (ტყვადობა 3 000)

ბორჯომი 2:0 თბილისი

10, 20 დე ბორასი (38, 68)

ბორჯომი: მამალაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ა. ბურნაძე (ვ. საჯია 46), დ. ბაქრაძე, მესხი, სანიძე, გაბისკირია (ვ. გოჩაშვილი 68), თ. აფციაური (გ. ჩხეტიანი 82), სებალე, დე ბორასი სათადარიგოთა მამარდაშვილი: შ. ჯიქია მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე	თბილისი: რ. თევდორაძე, გუზარაშვილი, გ. დარასელია, მიქიაშვილი, ვ. ქორიძე, მიმინოშვილი, ბოჭოიძე, ლ. კვარაცხელია, ნ. კვასხვაძე (ი. ფლენტი 58), მ. ბარაბაძე (როსტომაშვილი 58), რევაზ ბარაბაძე (გ. იაშვილი 72) სათადარიგოთა მ. ალავეიძე: ხოსრონიშვილი მწვრთნელი: თენგიზ კაცია
---	---

გაწმენილები: მესხი (6), მ. ბარაბაძე (17), გაბისკირია (28), ქორიძე (34), ბოჭოიძე (89)

მსაჯები: გ. კვიციანიშვილი; ვ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ვ. ბუიშვილი

დაამპირებები: ი. ლორთქიფანიძე; **დირექტორი:** თ. კორღალიძე

ბორჯომი ვაშაქიძე ბორჯომიდან

მასპინძლებმა დაგვიმლო საბოლოო უპრობლემოდ მითვალეს. ვლადიმერ ხაჩიძემ გუშინწინ „ბორჯომს“ მეორედ მოაგებინა, რაც ალბათ იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ მწვრთნელმა ახალ გუნდში ადაპტაცია უკვე გაიარა.

ჩანს, „ბორჯომს“ მშვენიერად შეეწყვნენ არგენტინელი ლეგიონერებიც — დარიო სებალე და გონსალო დე პორასი მთელი თამაში მოსვენებას არ აძლევდნენ ჭაბუკ თბილისელებს. აკი პირველი გოლიც არგენტინელი გამოვიდა: ტაიმის დამთავრებამდე შეიძინა წუთით ადრე სებალემ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაქვია — ცენტრალურ მცველ ვაჟა ქორიძეს თითქოსდა თავით უპრობლემოდ უნდა აეტანა ბურთი საჯარიმოდან, მაგრამ ააცილა. დე პორასიც იქვე იდგა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს დამუშავება-გატანა არ გასჭირვებია — ათიოდ მეტრიდან შორეულ კუთხეში ძლიერი დარტყმით რევაზ თევდორაძეს შანსი არ დაუტოვა.

მასპინძლებმა გოლი გაიტანეს, გასაკეთებელი გააკეთეს და... მოეშენენ, უნდოდად ირჯებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ფიქრობდნენ, თამაში უკვე მოგებულია.

გოლამდე კი ბობოქრობდა „ბორჯომი“, დისკვალიფიცირებული რევაზ გეწაძის არყოფნაში ხაჩიძემ გამათამაშებელი თორნიკე აფციური მარცხენა ფლანგზე დააყენა და მანაც სისხლი გაუშრო სტუმ-

რებს. 28-ე წუთზე მსაჯმა ვიორგი კიკაჩიანიშვილი იური გაბისკირია გააფრთხილა სიმულაციისთვის და სამართლიანადაც — ვეტერანი ფეხბურთელი საჯარიმოში წაქცევისთვის პენალტს ითხოვდა, მაგრამ არბიტრი ვერ წამოავო „ფანდზე“.

მეორე ტაიმი „ბორჯომმა“ ცვლილებით დაიწყო. ხაჩიძემ ცენტრალური მცველი ალექსანდრე ბურნაძე ელიკ საჯაათი შეცვალა. ნამატრევეს კი გავიძობილა, სანდრო დაშავდა და შეცვლა თავად მიხვდა. რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, სამწუხაროდ, ვერ არ ვიცით.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსი იყო. „ბორჯომი“ უტევედა, „თბილისი“ კი დაცვაში იდგა და რა გასაკვირია, მასპინძელთა მეკარე ზურაბ მამალაძე საქმეში ერთხელაც რომ ვერ ვნახეთ.

ტაიმი დაიწყო თუ არა, დე პორასს შეეძლო დუბლის შესრულება, მაგრამ მისი ძლიერად დარტყმული

ძელს მოხვდა. ეს 48-ე წუთზე იყო, თუმცა ოც წუთში გონსალომ მარცხე გაიხარა — ამჯერადაც ფლანგური შეტევა და საჯარიმოში ბურთის ჩაკიდება არგენტინელი ახტა, მეურვეს წამით დაასწრო და მძლავრი, ეფექტური თავურით შეაგლო — 2:0.

სტუმართა შეტევებზე თითქმის არაფერი გვითქვამს და ვერც ვერაფერს ვიტყვით — ჭაბუკ თბილისელებს ოდენ სამჯერ მიეცათ მეტნაკლებად სახიფათო საჯარიმოების დარტყმის უფლება, მაგრამ ამ სტანდარტულელებსაც მეტად უხეიროდ ასრულებდნენ. ბესიკ მიქიაშვილმა ბურთი ცოცხალ კედელს ვერა და ვერ ააცილა.

და ერთიც: თამაშის დასრულებამდე 10 წუთი რჩებოდა, ოდნავ რომ გაწვიმდა. არიქა, წვიმსო და, მაყურებელთა უმეტესობა მწყობრად აიშალა ტრიბუნიდან, ეკ. აწი აქ რაღა გვინდა, თამაში ხომ მოგებულია...

პრესკონფერენცია

თენგიზ კაცია: ამ ბიჭებს მეტს ნაღდად ვერ მოსთხოვ, მათთვის უმაღლეს ლიგაში თამაში ძალიან ადრეა. ფაქტია, მათ თავიანთი შესაძლებლობების სრულად გამოვლინება კი არა, გამოცდილებთან ჭიდაობა უწევთ. ზვადიდან გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლება. მასთან ერთად რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელსაც დავიმთავრებთ და ეგებ გვეშველოს კიდევ.

ვლადიმერ ხაჩიძე: ნაკრების თამაშის გამო ათდღიანმა დასვენებამ სულზე მოგვისწრო. გუნდი ფუნქციონალურად მოისუსტებდა და შეთამაშება გვაკლდა. ეს დროც ამაზე მუშაობას დაუთმეთ. არგენტინელ ლეგიონერებს ეტყობათ, რომ ბურთი იციან, სწორადაც იხსენებენ და ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთსაც თამაშობენ. ყველა თამაშში ვეცდებით, ხარისხიანად, გამართულად ვითამაშოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.



„ბორჯომის“ არგენტინელები — გონსალო დე პორასი და დარიო სებალე საქართველოს ჩემპიონატს თანდათან ეჩვევიან



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე 20 ტურში

ცხინვალის ვაღი დარჩენაა ჩერნიუოვს დინამო მოეჭონა და არ მოეჭონა

ტარიელ შოთენიაშვილი გორიდან

სტუმრებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და თავიდანვე ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა „ცხინვალის“ კართან. ჯერ სანდრო იაშვილმა ოდნავ ააცილა მიზანს, შემდეგ კი კახა მახარაძის საჯარიმო ღარტყმა გიზო შენგელიას პირდაპირ ხელეში მიუვიდა.

მე-10 წუთზე მასპინძლებსაც მიეცათ შანსი. მძებმა ჩიტაიებმა კომბინაცია წამოიწყეს, საბოლოოდ ბურთი დავით დათვამეს მიუვიდა, მაგრამ მისი დარტყმული ძალიან არაზუსტი გამოდგა.

მალევე ისევ იაშვილმა დაარტყა სახიფათოდ, შენგელიამ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ამის შემდეგ „დინამოს“ უპირატესობა თვალშისაცემი გახდა. სტუმრები მტკიცედ დაუფლნენ მოედნის ცენტრს და სახიფათო მომენტებიც გახშირდა.

22-ე წუთზე გოლი თითქოს გა-

მორი. 25 მარტი. 15 საათი. მბრძოლი. 120 მაყურებელი

ცხინვალის 0:2 დინამო

0:1 შეგრელაძე (37), 0:2 ბობოხიძე (90)	
ცხინვალის: გიზო შენგელია, გ. ჩიტაია (მძინარეშვილი 87), გ. ლომიძე, ქარტუზაშვილი, მ. თაყაძე, ხაჭაბურთიძე (ნ. ნოზაძე 83), დათვამე, ბ. ჩიტაია, სულთანშვილი, კ. ხანიშვილი, ეჯოშვილი (ვ. თაყაძე 87) სათადარიგონი: ქესანაშვილი, ხოსობაშვილი, გ. მახარაძე, ახალკაცი	დინამოს: სტურუა, ამბროზიო, გიგაური, შამიაშვილი, აკობია, ლ. ბურდული (ვიეირა 72), ლ. ნოზაძე, კ. მახარაძე, ვ. დარასელია, შეგრელაძე (ბობოხიძე 80), ს. იაშვილი (გ. შერვაშვილი 69) სათადარიგონი: ლორია, ორბელიანი, ჯ. დვალის
მწვრთნელი: ივანე თაყაძე	მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიუოვი
მსაჯენი: ა. კრიჭაშვილი, გ. ცირცია, ზ. ფიფია, ვ. ელისაბედაშვილი	
დამაკვირვებელი: დ. მენთეშვილი	

რდაუვალი იყო, როცა ვიტალი დარასელიას საჯარიმოს შემდეგ დავით გიგაურის თავური გაჭირვებით მოიგერია მეკარემ.

მალე გიორგი შეგრელაძემ ორჯერ მიეცა გოლის გატანის შანსი, ჯერ ამბროზიოს ჩაწოდებული შემოტრიალებით დაარტყა, შემდეგ კი ლადო ბურდულის პასი ვერ გამოიყენა — ორივეჯერ ააცილა.

დინამოელთა შეტევები 37-ე წუთზე საკმაოდ კურიოზული გიგაურის დაგვირგვინდა. დავით ეჯოშვილი საჯარიმოდან ბურთის მოგერიებას შეეცადა, მაგრამ მოულოდნელად ფეხი დაუცდა, რითაც იქვე მყოფმა შეგრელაძემ ისარგებლა და 0:1.

მეორე ტაიმი „ცხინვალმა“ ოდნავ უკეთ ჩაატარა და 48-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრებაც შეძლო. და-

თვამემ სულთანშვილი თითქმის პირისპირ გაიყვანა სტურუასთან, მაგრამ მისი ძლიერად დარტყმული მეკარემ მოიგერია.

ხუთიოდ წუთში „დინამოს“ პასუხიც იყო: დარასელიას ჯარიმა ხარისხამ აისხლიტა. გადმოვარდნილ ბურთს ამბროზიომ მაკრატელა მიაცილა — არაზუსტად.

თანდათან „დინამომ“ კვლავ გააძლიერა შეტევები. დარასელიამ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა შეგრელაძე, მაგრამ შენგელია ფეხებში ჩაუხტა მომხდურს და ხიფათი განმუხტა.

მატჩის ბოლოს „ცხინვალის“ ვაბანაკზე წავიდა და ლამის მთელი გუნდით შეუტია „დინამოს“, მაგრამ უშედეგოდ. ბოლო წუთზე კი თბილისელებმა კონტრშეტევაზე გამოიჭირეს მეტოქე, მიხეილ ბობოხიძემ ბურთი გიორგი შერვაშვილთან გაითამაშა და საჯარიმოში შეჭრილმა ზუსტი დარტყმით წერტილი დაუსვა მატჩს — 0:2.

პრესკონფერენცია

ანდრეი ჩერნიუოვი ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. შეთამაშება გვაკლია, შედეგით კი კმაყოფილი ვარ.

ივანე თაყაძე: სტუმრებს მოგებას ვულოცავ „ცხინვალის“ მიზანი უმაღლესში დარჩენა და ვეცდებით, ეს შევძლოთ.

ვიტ ჯორჯია	20	15	3	2	40:12	48
სიონი	20	15	3	2	38:14	48
დინამო	20	13	3	4	34:13	42
ამერი	20	13	2	5	27:13	41
ხუსტაფონი	20	12	4	4	28:16	40
ბორჯომი	20	12	1	7	34:17	37
ბათუმი	20	10	5	5	25:15	35
ლოკომოტივი	20	10	4	6	30:19	34
კოლხეთი	20	7	4	9	16:21	25
კახეთი	20	7	2	11	19:27	23
დილა	20	5	3	12	21:28	18
ცხინვალის	20	5	3	12	18:38	18
ტორპედო	20	4	6	10	14:26	18
სოხუმი	20	3	2	15	17:45	11
სპარტაკი	20	2	5	13	4:33	11
თბილისი	20	1	2	17	11:39	5



დავით კვიციანი

კვირკველია დაუგადა

უკრაინის ჩემპიონატის გუშინდელი, 23-ე ტური უიღბლო გამოდგა დავით კვიციანისთვის — ზაპოროჟიის „მეტალურგის“ ქართული მკველი ხარკოვის „მეტალისტთან“ მატჩში დაშვდა და 28-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. დიაგნოზი ჯერჯერობით უცნობია და ვერც იმას ვეტყვი, რამდენი ხნით მოუწევს უკრაინის კვიციანის ამის თაობაზე ზაპოროჟიელი ექიმები სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გააკეთებენ დასკვნას.

ბარემ აქვე ვეტყვი, რომ გუშინდელ ტურში ერთადერთი ქართული გოლი გავიდა და თავი, რა თქმა უნდა, ვასილ გვიგაძემ გამოიჩინა — კრივილი როვის „კრივბასმა“ 1:0 მოუგო „ზაქარპატიეს“ და ჩვენებურმა 5-ე წუთზე პენალტით იხიერა.

ლუკა თალაკვაძე

შაბათს დაიწყო „პეპსის თასი“, რომელშიც თბილისის 204 საშუალო სკოლის გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრების ჩატარების იდეა საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაციისგან წამოვიდა და რადგან წამოწყებას ფეხბურთის ფედერაციამაც აუბრა მხარი, ადვილად მოხერხდა სოლიდური პარტნიორების გამოძებნა. ეზოს ფეხბურთის ასოციაციისა და ფეხბურთის ფედერაციის გარდა „პეპსის თასის“ პატრონაჟი თბილისის მერიამ, კულტურისა და სპორტის და განათლების სამინისტროებმა იტვირთეს. გათამაშების გენერალური სპონსორი კომპანია „პეპსია“, მის გარდა კი ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი კომპანია „თოლიაცაა“



გივი უგულავა და გოკა გაბაშვილი „პეპსის თასის“ გახსნაზე

პეპსი დიდროში გაიხსნა

შაბათს ტურნირი თბილისის ათი უბნის ოც მინი-მოედანზე გაიხსნა, ოფიციალური ნაწილი კი დიდროში გაიმართა.

გახსნას თბილისის მერი გივი უგულავა, კულტურისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი, მერიის სპორტის სამსახურის უფროსი ვია უდესიანი, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები, გოგი ქავთარაძე, დიმიტრი რამიშვილი და რევაზ არველაძე დაესწრნენ.

სადაც პატარებია, იქ ყოფიანაცა და გახსნით შეხვედრებს არც ეს მოჰკლებია. თანაკოლელობა საუკუნეებამდე უფროსი ყველა სკოლიდან იყვნენ მოსული პატარები და მათთან ერთად, სკოლების დირექტორებს თუ მასწავლებლებსაც არ უცდიათ ემოციების მოთოკვა.

გივი უგულავამ განაცხადა, ეს ტურნირი თავისი მასშტაბებით უპრეცედენტოა და მერია ყოველმხრივ დაეხმარება ორგანიზატორებს მის

მალალ დონეზე ჩატარებაში. თბილისის მერს არც ის დავიწყებია, რომ შარშან რამდენიმე ათეული მინი-მოედანი აშენდა, წლებულს კი კიდევ სამოცდაათამდე საფეხბურთო სარბიელს მიიღებენ ბავშვები.

ტურნირი ორ თვეს გაგრძელდება. უბნების ჩემპიონები კი მაისში სპორტის სასახლეში გაარკვევენ უძლიერესის ვინაობას.

გიორგი ნოზაძე



ტურნირის დაწყებამდე, რა თქმა უნდა, ქართული ხალხური სიმღერაც იყო

ელენა გედევანიშვილი უფროსობას სწავლობს

ნარუმატებლად დასრულდა კალგარის მსოფლიოს ჩემპიონატი ელენე გედევანიშვილისთვის. ევროპის ჩემპიონატის მე-5 და ტურინის ოლიმპიადის მე-10 ადგილების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის მე-17 ადგილი 16 წლის ელენესთვის ვერაფერი შედეგია



ელენე გედევანიშვილი

AFF კალგარიდან

თავისუფალი პროგრამის წინ გედევანიშვილი მე-12 საფეხურზე იყო და ათეულს ქულათა უმნიშვნელო სხვაობით ჩამორჩებოდა. მისმა მწვრთნელმა ელენა ვოდორეზოვამ გვითხრა კიდევ — ათეულში შედევრა რეალურად, მაგრამ...

დარბაზის ამყოლებელი მელიოდია, ციციქა ქართველი გოგონას მოხდენილი სრიალი ბრუნისას დაცემა-წაბორძიკებამ გააუფერულა. 89,65 ქულა, ასეთი იყო მსაჯების ვერდიქტი, რაც სეზონის აღმოჩენას, ელენე გედევანიშვილს ოდენ მეჩვიდმეტე ადგილისთვის იყო. ისე ვიდრე ელენე არ გამოჩნდა მსოფლიო და ევროპის უღებზე, ჩვენთვის ეს შედეგიც კი საოცნებო იყო. ტურინის ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი ელენეს მწვრთნელის ელენა ვოდორეზოვას კომენტარი ამოვიკითხეთ: „ათეულთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ ელენე იმაში შეცდა, რაშიც ყველაზე ძლიერია. არა უშავს, ჯერ 16 წლისაა, სრულ სე-

ზონზე ენერჯია და გამოცდილება ბოლომდე არ ჰყოფნის, რაც ასაკის მატებასთან ერთად, აუცილებლად მოვა. მთლიანობაში სეზონი ძალიან წარმატებული იყო, ამდენს არც ველოდით. თანაც ევროპის ჩემპიონატზეც, ოლიმპიადებზეც და აქაც ელენეს დებიუტი ჰქონდა. აქამდე იგი ოუნორებში გამოდიოდა. დატვირთვისა და კლასის მხრივ კი, უფროსების რაიმე ტურნირის ოუნორებისასთან შედარება უადგილოცა.“

მსოფლიოს ჩემპიონი კი ელენეზე ერთი თვით უფროსი, მომხიბვლელი კიმი მაისნერი გახდა. 16 წლის ნიჭიერმა ამერიკელმა ისე კლასიკურად და თავისუფლად ისრიალა, რომ მსაჯებს ქულების გულუხვად გაცემის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ. კიმი მთელი 10 ქულით გაუსწრო მანამდე ლამის წინასწარ ჩემპიონად შერაცხულ იაპონელ ფუმი სუგუროს.

ბაჩო სვანიძე



კიმი მაისნერი

მსოფლიოს ჩემპიონატი. კალგარი. 20-25 მარტი		
1	კიმი მაისნერი (აშშ)	— 129,70
2	ფუმი სუგურო (იაპონია)	— 119,15
3	ელენა სოკოლოვა (რუსეთი)	— 116,87
4	საშა კოენი (აშშ)	— 114,67
5	სარა მაიერი (შვეიცარია)	— 109,96

17	ელენე გედევანიშვილი (საქართველო)	— 89,65

ჭაღრაბი

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

უკატერინბურგი. რუსეთი 10 - 27 მარტი

ზინალი. მესამე მატჩი

ალისა ბალიამოვა (რუსეთი) 0:1 სიუ იუჰუა (ჩინეთი)

საერთო ანგარიში 0,5:2,5

სიუ იუჰუას ორსული გადლოვა ჩინეთი რუსეთს გადაეკიდა



29 წლის ჩინელმა სიუ იუჰუამ ფინალში რუს ალისა გალიამოვას 2,5:0,5 მოუგო და მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი გახდა.

რეგლამენტით მოჭადრაკეებს ოთხი პარტია კი უნდა ეთამაშათ, თუმცა აზიელმა დიდოსტატმა სამ შეხვედრაში მოუთავა საქმე მეტოქეს და ოქროს მედალიც ნაადრევად დაიხვეწა. სიუ იუჰუა მესამე ჩინელია, ვინც ასეთ პრესტიჟულ ჯილდოს შესწვდა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ჩემპიონები ქსე უნი და ფუ ჩენი გახდნენ. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ფუნმაც და ჩენმაც ფინალში რუსებს სძლიეს. 1999 წელს ფუნმაც გალიამოვა დაამარცხა, 2001-ში კი ჩენმა — ალექსანდრა კოსტინიუკი.

იუჰუამ გალიამოვას ორივე შეხვედრა შავი ფიგურებით მოუგო. მესამე პარტიაში უპირატესობას თავიდან რუსი დაუფლა, ხარისხით დაწინაურდა და მანვერებს მიმართა. ჩინელმა ადვილად ამოიცილა თეთრების ზრახვები, კონტრ-შეუტია, უპირატესობა აართვა და 59-ე სვლაზე ოქროს გამარჯვება ჩაიწერა.

ჩემპიონს მედალთან ერთად 60 ათასი დოლარი გადასცეს, გალიამოვას კი — 30 ათასი.

პრესკონფერენციაზე ათასი მადლობის გადახდის შემდეგ იუჰუამ განაცხადა, რომ უკვე ოთხი თვის ფეხ-

მძიმეა და ამ გამარჯვებაში ყველაზე მეტად თავისი მომავალი შვილი დაეხმარა. ახალგაზოცხვარი ჩემპიონი ბავშვს სექტემბრისთვის ელის. ჩინელმა არც ძლეული მეტოქე დაივიწყა:

— მიუხედავად იმისა, რომ ალისა გალიამოვას ადვილად მოუუგე ვთვლი, რომ რუსი მოჭადრაკეები საკმაოდ ძლიერები არიან და მომავალში კიდევ მრავალ საინტერესო ბრძოლას იხილავთ.

— ჩინეთში, ალბათ, ხმაურიანი დახვედრა გექნებათ...

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია. სასიამოვნოა, როცა საშობლოში ახალი დიდებითა და ტიტულებით ჩადიხარ. ვიცი, რომ ჩინეთში ბევრი მქომაგობდა და დიდ სიბოროს დამახვედრებენ.

— თქვენი ყველა ტიტული ჩამოგვითვალეთ...

— მოვიგე მსოფლიოს თასი 2000-ში და 2002-ში. ჩინეთის ნაკრების შემადგენლობაში კი ოლიმპიადებზე სამჯერ გავიმარჯვე.

— როგორ აღნიშნავთ გამარჯვებას?

— ჩინეთის დელეგაციასთან ერთად მოვუღებ.

— ფინალზე რას იტყვით?

— ალისა ძლიერი მოჭადრაკეა და ვფიქრობ, რომ ამ სამი პარტიიდან ორში გამიმართლა.

ლუზა გუგუბორი

ჩინური ბიზნესი პეკინის საგზური გუანჯოუში იღება

დღეს ჩინურ გუანჯოუში ტექნიკის მსროლელთა მსოფლიოს თასის გათამაშება დაიწყო და ორ აპრილამდე გასტანს. საქართველოს სახელით მასზე მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოვა. ნინო სალუქვაძე ჩინეთში გუშინ ჩავიდა. გუშინვე გამართა გახსნის ცერემონია, ტექნიკური შეხვედრა და წინასატურნო ერობლივი ვარჯიშები.

პირველად სასროლად კაცები გავლენ. დღეს საღამოს პირველი ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოვლინდებიან. სალუქვაძე კი 29 მარტს დაიწყებს პნევატური პისტოლეტით. სპორტული პისტოლეტიდან ქალები 31 მარტს ისვრიან.

მსოფლიოს თასის დამატებითი დატვირთვა პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების გათამაშებაა. საგზურებს მხოლოდ ჩემპიონები მიიღებენ, თუმცა შეიძლება ეს საპრიზო ადგილს მიღმა დარჩენილმა სპორტსმენმაც მოახერხოს. ლიცენზია თერთმეტ ქალ მსროლელს უკვე განადღებულნი აქვს და თუ გუანჯოუშიც მათ ისნაიპერეს, ოლიმპიურ შანსს თავისზე უკან მდგომებს გადაულოცავენ.

ოთარ მალაქალიძე

გოგაი მარტამ ჩამოაქვითა

საზონის მეორე ბაშო სუმოს ყველაზე სახელიანი და უხვტიტულიანი ასასიორუს განემპიონებთ დასრულდა. ოცდამეერთე საუკუნის პირველმა და ერთადერთმა იოკოტუნამ იანვრის ბაშოს იმედგაცრეება ოსაკაში, დამატებით ტურშიდა გამოასწორა.

იმპერატორის თასის მფლობელი ასასიორუსა და ობეკი ხაკუხოს კეტეი-სენმა (სუპერფინალმა) გამოავლინა. ორივე რიკისიმ ცამეტ-ცამეტი ქულით დაასრულა ძირითადი ბაშო. არადა, ბოლო ტურის წინაც ამდენივე ჰქონდათ. ყველასთვის გასაკვირად, ბოლო დღეს ასასიორუსმა წააგო და ხაკუხომაც პირველი ტორიატუმამ წააქცია, ხოლო მეორე — კაიომ.

კეტეი-სენის წინ, წესით, უპირატესობა ხაკუკოს მხარეს უნდა ყოფილიყო. მან ხომ მარტის ბაშოზე ერთხელ უკვე მოასწრო იოკოტუნას დამწუხრება (მე-11 ტურში), მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვან მიმენტში იმავეს გაკეთება ვეღარ შეძლო.

ბოლოს ჩვენს კოკაიზეც ვთქვათ. დასაფლეთის პირველი მცემპირა ლუკან ცაფურია მომდევნო ბაშოზე (მაისში) რეიტინგსაში გაცილებით დაბალ საფეხურზე დადგება. ოსაკაში დადებით ბალანსადე სამი ქულა დაკლდა. კოკაი მხოლოდ ხუთი გამარჯვება მოიპოვა. ათჯერ კი დამარცხდა.

ოთარ მალაქალიძე



თუ შერადინი არ მივა აგენტთან, აგენტი მივა შერადინთან

ორტაგო სუსაშვილს უსხოითს შესთავაზებს



ორტაგო სუსაშვილი

გუმბინ თბილისში სატრანსფერო კომპანია „ინტერპერფორმისის“ საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტი არტურო ორტეგო და ამ კატეგორიის მენეჯერი ვირჯილიუს ბულოტასი ჩამოვიდნენ ეს საკალათბურთო აგენტები ასევე არიან „ჩიკაგო ბულზის“ და „კლივლენდ კავალიერზის“ სკაუტები, რომელთა მოვალეობაც, მოგეხსენებათ, პერსპექტიული ახალგაზრდების მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მიგნება და მათზე ინფორმაციის შეგროვებაა. ბულოტასი საქართველოში უკვე მესამედია. შარშან ის ვიორგი ცინცაძის სანახავად ჩამოვიდა, ხოლო ორტეგო პირველად გვესტუმრა და ამ ავტორიტეტული აგენტის აქ ყოფნა იმის მანიშნებელია, რომ საქმე სერიოზულადია.

სანამ არტურო ორტეგოს სათბილისო მისიას გამცნობდით, ვეტყვი, რომ ამ კაცმა ნა-ში არაერთ ვარსკვლავს გაუხსნა გზა. ის ვახლდათ არვიდას საბონისის საქმის გამჩარხელი, როცა „საბასი“ საბჭოური ლიტვიდან ჯერ მადრიდის „რეალში“, შემდეგ კი „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში“ ჩაირიცხა. ორტეგო განაგებს პაუ ვასოლისა და ემანუელ ჯინობილის სატრანსფერო საქმეებს და მას იცნობს ნა-ს კლუბების ყველა დიდმოხელე.

შაბათს ვერის ბაღში საქართველოს დუბლიორთა ჩემპიონატის მატჩში „მაკაბი“ სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს ხელებოდა ორტეგო და ბულოტასიც იქ იყვნენ...

— ბატონო არტურო, რა მისიით ჩამობრძანდით საქართველოში?
— მე ვარ სატრანსფერო კომპანია „ინტერპერფორმისის“ წარმომადგენელი, ასევე „ჩიკაგოს“ სკაუტი და იმ ქვეყნებში ხშირად ჩავდივარ, სადაც პერსპექტიული ახალგაზრდები არიან. თქვენთანაც ნიჭიერი ახალგაზრდების სანახავად ჩამოვიდი. მინდოდა, ჩემი თვალით შენახა, ვინ რისი მაქნისია.

— ვისი მოწვევით ჩამოხვედით თბილისში, ვინაა თქვენი მასპინძელი?
— ჯამლეტ ხუნაშვილი გემასპინძლობს მე და ვირჯილიუს ბულოტასს...

— უკვე ცხადია, რომ ვიორგი შერადინის დასაკვირვებლად ჩამოსულხართ, რომელზეც ხუნაშვილი დიდ იმედებს ამყარებს და არცთუ უსაფუძვლოდ...

— მართლაც შერადინია ჩვენი მთავარი სამიზნე, მაგრამ, ცხადია, არც სხვათა დაკვირვებაზე ვიტყვი თურს. თუ ვინმე საინტერესოს აღმოვაჩინო, კმაყოფილები დავრჩებით.

— შერადინზე რას იტყვით? მან დღეს სამმაგი დუბლი შეასრულა...

— ვიცი, რომ ამაზე უკეთეს უთამაშია, მაგრამ ძნელია, აქ მისი რეალური შესაძლებლობები შეფასდეს. საქართველოში არაა ისეთი დონე, როგორც ევროპის ქვეყნებში. ასე რომ, თუ შერადინის სრული პოტენციალის შეფასება გვინდა, კონკურენტუნარიან გარემოში უნდა ვნახოთ.

— ქართულ გარემოში როგორ შეფასებთ შერადინს?
— ის რომ ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდაა, ეჭვი არ მეპარება. ასე რომ არ იყოს, აქ არც ჩამოვიდოდი. მას სიმძლევე აქვს, მიზანც, მოძრავიცაა, თუმც არის კომპონენტები, რომლებიც ამ მატჩში ვერ წარმოჩინდებოდა.

— მაშ, რას აპირებთ?

— ახლა ჯამლეტ ხუნაშვილს უნდა ველაპარაკოთ და შევთავაზოთ, რომ შერადინი ნა-ს კეპზე — „კალათბურთი საზღვრებს გარეშე“ — გამოუშვას. ბოლო სამი წელია, ეს კეპი იტალიის ქალაქ ტრევიზოში იმართებოდა და ამ ზაფხულს ვილნიუსში ჩატარდება. იქ ევროპის საუკეთესო ახალგაზრდები შეიკრიბებიან და შერადინის ყველა დადებითი თვისებაც კარგად გამოჩნდება.

